საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თაკვერი

თაკვერი, ისტორიული მხარე დასავლეთ საქართველოში. პირველად დამოწმებულია VII ს. ანონიმი ავტორის სომხ. გეოგრაფიაში. ადრინდ. შუა საუკუნეებში სახელწ. თაკვერი ორი მნიშვნელობით იხმარებოდა: ფართო მნიშვნელობით ახლანდელ რაჭა-ლეჩხუმს მოიცავდა, ვიწრო მნიშვნელობით – ცხენისწყლის აუზის შუა წელსა და მდ. ლაჯანურის (რიონის შენაკადი) ხეობას შორის მდებარე ტერიტორიას. განვითარებულ შუა საუკუნეებში სახელწოდება თაკვერს მხოლოდ მეორე მნიშვნელობით ხმარობდნენ. XI ს-ში თ. სვანეთის ერისთავს ემორჩილებოდა, XII–XIII სს-ში შედიოდა რაჭის ერისთავის საგამგეოში, გვიანდ. შუა საუკუნეებში კი – ლეჩხუმის შემადგენლობაში.

ბერძნ.-ლათ. და ქართ. წყაროებში იხსენიება თაკვირიის (თ-ის) ციხე. ვარაუდობენ, რომ ეს უნდა იყოს დეხვირის ან ზუბის ციხე.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი დ., ბ ა ნ ძ ე ლ ა ძ ე ი., ს უ რ ა მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი მ., ჭ უ რ ღ უ ლ ი ა ხ., ლეჩხუმი, თბ., 1983.

თ. ბერაძე